

ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N42 საცხოვრებელი სახლის  
N21 ბინაზე, მოქალაქე ანა კობხრიძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა ზვიად გამსახურდიას გამზირი N42 საცხოვრებელი სახლის N21 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ანა კობხრიძის განცხადება /2012 წლის 21.11 Nკ-9591/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N42 საცხოვრებელი სახლის N21 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N42 საცხოვრებელი სახლის N21 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ანა კობხრიძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N42 საცხოვრებელი სახლის N21 ბინაზე /საერთო ფართობი 41,47 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 30,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 11,47 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 9,20 კვ.მ./ მოქალაქე ანა კობხრიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაფიანმა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე